პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 179 (19620) ◆ სამშაბათი, 5 აგვისტო, 1968 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სახელმწიფო ვაჭრობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების, ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად უფრო სრულად კმაყოფილდება მყიდველთა მოთხოვნა სასურსათო პროდუქტებსა და არასასურსათო საქონელზე.

ამასთან ერთად სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობა, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სუსტად შეისწავლება მყიდველთა მოთხოვნილება. არ ხორციელდება აქტიური ზემოქმედება მრეწველობაზე იმ მიზნით, რომ გაზარდოს სახალხო მოხმარების საჭირო საქონლის [გამოშვება, გაუმჯობესოს მისი ხარისხი და გააფართოოს ასორტიმენტი, უზრუნველყოფილი არ არის სასაქონლო რესურსების ოპერატიული მანევრირება, ბევრ მაღაზიასა და საზოგადოებრივი კვების საწარმოში შეზღუდულია ასორტიმენტი, უშვებენ შეფერხებებს საკმაო რაოდენობით არსებული ნაწარმის გაყიდვაში. მოსახლეობის სამართლიან საყვედურს იწვევს მომსახურების დაბალი კულტურა, ვაჭრობის წესების დარღვევა, ბევრი საწარმოს მუშაობის რეჟიმი.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ძირეული გაუმჯობესებისა და მყიდველთა მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესაბამისად, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახელმწიფო ვაჭრობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფა, საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობის გაფართოება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება თვითდაფინანსების საფუძველზე, მუშაობის საბოლოო შედეგებით შრომითი კოლექტივების დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზს, სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებისა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მთავარი ამოცანაა დაკმაყოფილონ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სახალხო მოხმარების მრავალფეროვან და მაღალხარისხოვან საქონელზე, აქტიური ზემოქმედება მოახდინონ მრეწველობასა და სხვა დარგებზე საქონლის წარმოების გადიდების მიზნით, არსებითად გაუმჯობესონ საბჭოთა ადამიანების მომსახურების ხარისხი და კულტურა, ყოველნაირად განვითარონ ვაჭრობის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები და მეთოდები.

ითქვა, რომ აღნიშნული ორგანიზაციები უშუალოდ აგებენ პასუხს საცალო საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმის შესრულების, ვაჭრობის განვითარების, მისი საქმიანობის ეფექტიანობის გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართოდ გამოყენებისათვის. ვაჭრობის მართვის ორგანოები, ვაჭრობის საწარმოები და ორგანიზაციები უნდა წარმომადგენლობდნენ და აქტიურად იცავდნენ მყიდველთა ინტერესებს, იკავებდნენ პრინციპულ პოზიციას საქონლის მიწოდებლებთან ურთიერთობაში.

ბაზარდა სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობა სახალხო მოხმარების წარმოების დავალებათა უფრო შესრულებისა და სავაჭრო ქსელში მისი დროული მიწოდებისთვის.

ფართოვდება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებები ვაჭრობის განვითარების დაგეგმვისა და სასაქონლო რესურსების ოპერატიულ მანევრირებაში.

დადგენილებით განისაზღვრა, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებს, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების სამმართველოებსა და სახელმწიფო ვაჭრობის მართვის სხვა ორგანოებს, მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებზეც ვრცელდება დადგენილება სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს [ესახებ, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან და წლიურ გეგმებში უმტკიცდებათ შემდეგი მაჩვენებლები: საცალო საქონელბრუნვა ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის მოცულობის გარეშე, საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის მოცულობის გარეშე და საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციის ბრუნვა, სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების, სამშენებლო-სამონტაჟო და საოჯახო სამუშაოების ლიმიტები, ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედება ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე.

გათვალისწინებულია ეკონომიკური ნორმატივებისა და მატერიალური სტიმულების დამტკიცება, რომელთა მიზანია ვაჭრობის მუშაკების შრომითი აქტიურობის გადიდება, მათი შრომის ანაზღაურება დამოკიდებული ხდება მუშაობის საბოლოო შედეგებზე.

საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ შინაგანი სამეურნეო ანგარიშის ყოველმხრივი განვითარებისა და განმტკიცების საფუძველზე განხორციელდეს იმ სამეურნეო ერთეულების (მაღაზიების, სასადილოებისა და სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფების) საქმიანობ ი ს გაუმჯობესების ღონისძიებანი, რომლებზეც არ ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს შესახებ.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო, ცენტროსოიუზი, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროები და უწყებები, ვაჭრობის მართვის სხვა ორგანოები, ვაჭრობის საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ სახალხო-მოხმარებლო საქონლის სისტემაში საქონელი და პროდუქცია იყიდებოდეს ფართო ასორტიმენტით მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად. დადგინდა, რომ მაღაზიებისათვის მიწოდებულ საქონლის სასორტიმენტო ნუსხებში სავალდებულო წესით იქნება გათვალისწინებული ბავშვების, ახალგაზრდობისა და უფროსი ასაკის პირებისათვის განკუთვნილი საქონელი ძირითადი ფასობრივი ჯგუფების მიხედვით. ვაჭრობის საწარმოების (ორგანიზაციების), სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელები პერსონალურად აგებენ პასუხს საქონლის საასორტიმენტო ნუსხის დაცვისათვის.

სავაჭრო საწარმოების (ორგანიზაციების) სამეურნეო საქმიანობის შეფასებას ზემდგომი და ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ მუშაობისა და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას, ამასთან ითვალისწინებენ საცალო საქონელბრუნვის, საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვისა ან საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციის ბრუნვის, ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების ვადების შესრულებას, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის შემოსავლიანობის (რენტაბელობის) გადიდებას. საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში საწარმოთა (ორგანიზაციათა) საქმიანობის სრულყოფის საკითხებისადმი, გაუწიონ მათ ყოველმხრივი ხელშეწყობა მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლის მომზადებასა და განხორციელებაში, აუარადღება მიაპყრონ იმას, რომ უნდა გაძლიერდეს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა პასუხისმგებლობა მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლისათვის, დაეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების ღრმა ათვისებისა და უნარიანი გამოყენებისათვის.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის შრომითი კოლექტივები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ეფექტიანად გამოიყენებენ მეურნეობრიობის ახალ პირობებს. მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ ხარისხოვან და მრავალფეროვან საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ამაღლებენ მყიდველთა მომსახურების კულტურას და ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

შრომითი ძრონიკა

დახლთან საწარმოს წარმომადგენელია

თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა გარდაქმნას მუშაობა მომხმარებელთა სურვილების შესაბამისად. როგორც ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ლევან ხეჩოევმა გვითხრა, ახლა მთავარია ისეთი ნაწარმი მიაწოდონ მყიდველს, რომელიც ბავშვსაც მოეწონება და მშობლებსაც, იქნება ხანგამძლე, ლამაზი, თანამედროვე. ახლა თბილისის ცენტრალურ უნივერმაღ „თბილისში“, „ბავშვთა სამყაროში“ დახლთან სავაჭრო მუშაკებთან ერთად დგას საწარმოს მუშაკი, რომელიც საკუთარი თვალით ხედავს, რომელი ასორტიმენტის საქონელი იყიდება, რაზეა გაზრდილი მოთხოვნა, რა მოსწონთ და რას იწუნებენ. ამის თანობაზე საწარმოს წარმომადგენელი სათანადო ინფორმაციას აწვდის ხელმძღვანელობას, და მათთვის ნათელი ხდება, თუ რომელი მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა, რა ნაკლი უნდა აღმოფხვრან.

და მაინც, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული ტექნიკური კონტროლის მოქნილ მუშაობაზე, ახლა, დღის ბოლოსათვის ფაბრიკის სამკერვალო საამქროს თითოეულმა ცვლამ იცის, თუ რამდენი უხარისხო პროდუქცია გამოუშვეს და კონკრეტულად ვინ იყო მისი დამამზადებელი. რაღა თქმა უნდა, ეს ურეკламრებოდ არ რჩება. უწუნად მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც მარინე კალანდაძე ხელმძღვანელობს.

ტექნიკური განახლების გარეშე ძნელია ხარისხის გაუმჯობესება, ამიტომ, საქსოვ საამქროში დაიდგა უცხოური მანქანა-დანადგარები. („კომუნისტის“ კორ.).

სანაწვერალო თესვა

სიღნაღი. (საქ. კორ.). აქ შემჭიდროებულ ვადებში, ორგანიზებულად აიღეს პურეულის მოსავალი. მკის პარალელურად მიმდინარეობდა ნაწვერალის ხვნა, საკვები კულტურების თესვა.

კოლმეურნეობათა ერთმა ნაწილმა — ბოდბისხევის, ძველი ანაგის, ტიბაანის კოლმეურნეობებმა განსაზღვრულ ვადებში — 15 ივლისამდე დაამთავრეს სანაწვერალო თესვა. სულ კოლმეურნეობებში დათესილია 4.000 ჰექტარი.

სანაწვერალო თესვას აყოვნებენ ანაგის, ბოდბის, ჯუგაანის და ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობები.







საძმევ გამოპრინა

იქმნენ ერთიანი ბიბლიოთეკა

რეგული ქვეყნები

„საქელეტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანების პროდუქციას — მიკროძრავებს კარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. მიკროძრავებს იძენენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიისა და ფინეთის სამრეწველო ფირმები, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები. საქმის ასეთი ვითარება განაპირობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამიზნულმა მუშაობამ, ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვამ, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობამ.



სურათებზე: დამხვევი საამქროს საუკეთესო ბრიგადის წევრები ბრიგადირი ნაზი გოჩიტაშვილი, მჭნანა გამდლიშვილი და ქეთევან პილოიანი. მათ მიმდინარე წლის შვიდი თვის გეგმა 15 ივლისისათვის შეასრულეს და გადაწყვიტეს მესამე კვარტალში უფრო დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიონ; მეორე სურათზე თქვენ ხედავთ მზა პროდუქციის მიმღებსა და საამქროდან გამგზავნს მზია ღოღნაძეს, რომელიც დიდი მონდომებით, კეთილსინდისიერად აკეთებს თავის საქმეს; ერთ-ერთი სერიის მოტორის სტატორი.

ა. საპაკოვის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სათბობსა და ენერგიას — ზუსტი აღრიცხვა!

ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა სათბობის, ელექტროენერგიის, ნავთობპროდუქტების არამწარმოებლური დანაკარგების შესამცირებლად. ყველანაირ ენერგიდამზოგავი ტექნოლოგიები და მოწყობილობა, გაძლიერდა შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა, მათი ინიციატივა რესურსების რაციონალური, ეკონომიკური გამოყენების დარგში. მომჭირნეთა ერთსულოვანმა მეცადინეობამ შესაძლებელი გახადა მიმდინარე წლის დამდეგიდან დაზოგილიყო 157 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც ნორმირებული ენერგომოხმარების 1,5 პროცენტს შეადგენს. დაიზოგა 100 ათას ტონამდე ქვანახშირი, დიზელის სათბობი და ზეთი, ავტომობილის ბენზინი, სხვა სახეობათა საწვავი.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სახალხო მეურნეობის ინტერესები ახლა სულ სხვა რამეს მოითხოვს — აყირავიან მიდგომას საქმისადმი, რომლის დროს სათბობი და ელექტროენერგია არ უნდა დაიკარგოს.

ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და გამოყენების პროცესების მართვის ოპერატიული ჯგუფის სხდომაზე.

ხალხის დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება ჩვენი გეგმების რეალობის საკითხია, აღინიშნა სხდომაზე. და მისი გადაწყვეტა უნდა უზრუნველყოთ პრაქტიკული ღონისძიებათა მთელი სისტემით. ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, აგროსამრეწველო სექტორში, დაწესებულებებში უნდა შეიქმნას ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები, რომლებიც სტიმულს მისცემს მომჭირნეებს, მათს ინიციატივასა და გერგილიანობას. და, პირიქით, ცუდი მუშაობა, პასიურობა, უპასუხისმგებლობა ამ მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეში უშუალო და უცილობელ გავლენას უნდა ახდენდეს მუშაკთა მატერიალურ ანაზღაურებასა და მორალურ ავტორიტეტზე.

სათბობისა და ენერგიის გამოყენების ეფექტიანობის გადიდების შესაძლებლობანი არის თითოეულ ქალაქსა და რაიონში, სამინისტროსა და უწყებაში, თითოეულ კოლექტივში. მომჭირნეთა წვლილის გასადიდებლად, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა დროულად უნდა გააცნონ თითოეულ საწარმოსა და მეურნეობას მომჭირნეობის კარგად დასაბუთებული დავალებანი და მოაგვარონ ზუსტი კონტროლი მათი შესრულებისადმი, დაამყარონ წესრიგი ელექტროენერგიისა და სათბობის ხარჯვის ნორმირებაში. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა იწყება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მზადება შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის.

სხდომაზე დაასახელეს ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ყველგან არ არის განხორციელებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი, არ წყდება ლიმიტის გადაბარჯვა. დამრღვევთა შორის არიან რუსთაველ საწარმოო გაერთიანება „ანზორი“; ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ამიერკავკასიის რკინიგზა და სხვები. „ენერგოზედამხედველობის“ ინსპექციის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ მარტო წელს გამოავლინა ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვის 2558 ფაქტი. ამრიგად, არარაციონალურად არის გამოყენებული 20.841 ათასი კილოვატსაათი.

ცალკეულ საწარმოებში დადგენილი წესების დარღვევით განაგრძობენ ელექტროდანადგარების, ენერგოგარეგნატების იქსპლოატაციას, დაბალია მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია. ყველა ავტომეურნეობაში სათანადოდ არ ზრუნავენ სატვირთო მანქანების სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, შემხვედრი და არარაციონალური ტვირთნიდვის მოცულობის, მოცდენების შემცირებისათვის, არ ახორციელებენ ღონისძიებებს, რომ ავტომეურნეობები უზრუნველყონ სათბობის მარეგულირებელი აპარატურით, სპიდომეტრებით.

დასახულია ამოცანა დაჩქარდეს ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის, ქუთაისი-სოხუმის გაზსადენების მშენებლობის ტემპი, შემოდგომა-ზამთრის სეზონის დაწყებამდე უზრუნველყონ ყველა მაღალი მთის რაიონი საკმაო რაოდენობის გათხევადებული გაზით. ჯეროვნად უნდა მოაწესრიგონ ნავთობისა და მაზუთის ტევადობები, განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, შეადგინონ სათბობის ხარჯვის ბალანსი და მკაცრად ადევნონ თვალი მის რაციონალურ გამოყენებას.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისათვის შეჯიბრება გვამდიდრებს მოწინავე გამოცდილებით, ამავე დროს არის ადგილები აღზრდის სკოლა, წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის კოლექტიური ბრძოლის ფორმა. საწარმოთა პარტკომებმა, პარტიულმა ბიუროებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი სათბობისა და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენებისადმი.

საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე ფართოდ უნდა გავრცელდეს პატრიოტული მოძრაობა დევიზით „თითოეული ეკონომისტი — თავის სამუშაო ადგილას“. უნდა გაიხსნას ეკონომიის სამქრო, სბრიგადო, ინდივიდუალური პირადი ანგარიშები. ისინი უნდა გადდეს ძირითადი დოკუმენტი მომჭირნეთა შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, დეპუტატთა ჯგუფები, სახალხო კონტროლის საგუშაგოები, ორგანები უფრო სრულად უნდა იყენებდნენ სამეურნეო ხელმძღვანელთა, ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლებებს, აძლიერებდნენ თითოეული მშრომელის პასუხისმგებლობას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა გააჩაღონ კამპანია მატერიალური რესურსების მომჭირნე, რაციონალური გამოყენებისათვის, ჩაუნერგონ ადამიანებს აყირათიანობა, შექმნან შეურიგებლობის ვითარება უყაირათობის, უგერგილობის, დოყლაპიობის ცალკეული შემთხვევების გარშემო.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლაევმ.

საბჭოთა-კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტების კრებული

გამოვიდა კრებულის — „სკკპ ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის კონფერენციებისა და პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში“ — მეცხრე გამოცემის მეათე ტომი, რომელიც მოამზადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილებამ. წიგნში შეტანილია 1961 წლის იანვრიდან 1965 წლის დეკემბრამდე პერიოდის პარტიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები.

გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალფეროვანი საქმიანობა სსრ კავშირის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლის გაზლის დარგში. ტომში შესულია მასალები წარმოჩენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობას სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობისათვის.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დოკუმენტებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე.

ტომში შეტანილია მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც გამოქვეყნებული არ იყო მერეკე გამოშვებაში.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

სიზუსტე, სიმტკიცე-ყველა დონეზე

საქმის ვითარებაზე ზემოქმედების ოპტიმალური, ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა შევაფასოთ, რა გვაქვს ხელთ, როგორია მუშაობის სიზუსტე, პოზიციების სიმტკიცე ყველა დონეზე. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დაწყებულ ხუთწლედში, როგორც ცნობილია, უნდა გადავწყვიტოთ თვისებრივად ახალი და წინანდელთან შედარებით უფრო რთული ამოცანები. ამ მოთხოვნის ნიშნით ჩაიარა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1 აგვისტოს გაიმართა.

პლენუმზე მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებისა და ქალაქ თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების გეგმის შესახებ“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ალავიძემ.

მოხსენებაში, გამოსვლებში აღინიშნა განვლილ ხუთწლედში ქალაქის მრეწველობაში მოპოვებული გარკვეული წარმატებანი. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 132 პროცენტით, რის მეოთხედი მიღებულია წარმოების მოცულობის მატების 94 პროცენტზე მეტი. მაგრამ, სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებიდან გამომდინარე და არსებულ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, მიღწეულს ვერ დავჯერდებთ. კონკრეტული შედეგების — შეფასების ამ ერთადერთი უტყუარი კრიტერიუმის საფუძველზე განისაზღვრა ეკონომიკის, საქალაქო მეურნეობის უპირველესი ამოცანები, ქალაქის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე პარტიული ზემოქმედების დონე.

მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტის თანახმად შრომის ნაყოფიერების ზრდამ უნდა შეადგინოს 125 პროცენტზე მეტი. ამ რთული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია საწარმოო სიმძლავრეთა რაციონალური გამოყენება.

როგორც გვიჩვენა, მაგალითად, სამუშაო ადგილების ატესტაციამ, ორცვლიან მუშაობაზე მარტო ქალაქის საწარმოთა გადაყვანა შესაძლებლობას მოგვცემს გამოვთავისუფლოთ 300 ათას კვადრატულ მეტრამდე საწარმოო ფართობი, 22 ათასამდე ერთეული მოძველებული მოწყობილობა, მესამედით გავადიდოთ ფონდუკუგები. აი რატომ არის, რომ ქვეყნის მოწინავე კოლექტივების გამოცდილებისამებრ, მუშაობის ორ-სმაცლიანი რეჟიმის ორგანიზაცია დღეს ქალაქის კომუნისტთა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ხდება.

ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა მივიღოთ მეტი უკუგება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვისაგან, ავამაღლოთ მეცნიერული ნამუშევრების დონე. ამასთან დაკავშირებით მწვავედ დაიყენეს საკითხი მრეწველობის, მთლიანად ქალაქის სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის თბილისის მძლავრი მეცნიერული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების შესახებ.

ხუთწლიანი გეგმის პროექტის ძირითადი განყოფილებანი შემუშავებულია რესპუბლიკის დედაქალაქისათვის საეტაპო დადგენილების — თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით. იგი ქალაქის მატერიალური წარმოების სფეროსა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპის არსებითი დაახლოების ამოცანის გადაწყვეტის საფუძველია.

საბინაო მშენებლობისათვის, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის სფეროს, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის გაფართოებისათვის გამოყოფილი დიდი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი მთლიანად უნდა ავითვისოთ, ამასთან რაციონალურად და ოპერატიულად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული შესაძლებლობა, მკაცრი სახელმწიფო წესრიგი დავამყაროთ ამ დარგების მუშაობის სისტემაში.

განხილეს რა ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციის პოლიტიკური ასპექტები, ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა უდიდესი როლი განეკუთვნება პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისათვის, რომელიც უნდა იყოს მაგალითი ყველა ახალ საქმეში, პროგრესულ წამოწყებაში. ეს პროცესი ძალას იკრებს: ძლიერდება მომთხოვნელობა და მომკაცოველობა, უფრო აქტიურად იძირკვება მორწმენებითობა, ფორმალიზმი, პრინციპული, უკომპრომისო შეფასება ეძლევა კადრების შერჩევასა და განაწილებაში დაშვებულ შეცდომებს. ყოველივე აქედან უნდა გამოვიტანოთ სამერმისო დასკვნები, მისხალ-მისხალ შევავსოთ კოლექტიური გამოცდილება.

პლენუმის მონაწილეებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმავე პლენუმის მითითებებით, რომ მუშაობაში გარდაქმნა უნდა დავიწყოთ პირველადი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის, შეტევითობის, კომუნისტთა ინიციატივისა და აქტიურობის განვითარებით, აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის მუშაობაში გარდაქმნის დაჩქარებას.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ცნობა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე ეტაპზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ და პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრის, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის გ. გ. ქორთველიშვილის ინფორმაცია „1986 წელს ქალაქ თბილისში საცხოვრებელი სახლების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო გეგმების ეუფუო შესრულებისათვის მიმდინარე მუშაობის შესახებ“.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი,

განხილეს ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრისა და მდივნის მოვალეობისაგან გათავისუფლა კ. ვ. კალანაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში სამუშაოდ გადაყვანასთან დაკავშირებით.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად და მდივნად აირჩიეს ა. ი. პავშენცევი, რომელიც მუშაობდა პარტიის ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველ მდივნად.

(საქინფორმი).

ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება: ბიუროკრატიზმი სავარძელში

კეთილმოსურნის ნიღბით

ეგ კოზინირნ რაისაბჭოს აღმასკომის პარტიული ორგანიზაციის კრებებსა თუ სხვადასხვა სხდომებზე არაერთხელ აღენიშნავთ: გავუფრთხილდეთ ადამიანებს, მათ დროს და ენერგიას, არ დავუშვათ ფორმალიზმი, საქმის გაჭიანურება, ყალბი ორგანიზებულობისადმი მიდრეკილებაო.

სამწუხაროდ, ფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ლიტონი სიტყვები ყოფილა, საქმე კი სხვას ამტკიცებს. განმცხადებლებს ზოგჯერ დაუსაბუთებლად ეუბნებიან უარს, მიმართავენ რაღაც ხრიკებს, აჭიანურებენ საქმეს და გამკითხავიც ხშირად არავინ არის.

მაგალითი, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ, ნათელი დადასტურებაა ადამიანის საჭიროებებისადმი პასუხისმგებელი მუშაკების უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა.

ამ 23 წლის წინათ, რევაზ ქურციკიძისათვის ვინმეს რომ ეთქვა, თქვენი საბუთები სრულყოფილი არ არის და არ გეკუთვნით ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანაო, მაშინვე მოაგვარებდა საქმეს, მოიტანდა იმ დაწყვეტილ ქაღალდს, რომელსაც შემდეგ კინაღამ შეეწირა. მაგრამ არც მაშინ, 23 წლის წინათ და არც შემდგომ წლებში არავის უთქვამს, თვალი შაი გაქვსო, ახლა რაღა მოხდა? დიახ, ახლა როცა ბინის მიღების ოიგმა მოაღწია, როცა იგი სიაში პირველი აღმოჩნდა, რატომ გახდა საჭირო საბუთების უკმარისობაზე ლაპარაკი სწორედ ახლა, რატომ არ დაადგმაყოფილა თბილისის 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის ბინების განაწილებისა და აღრიცხვის განყოფილება ორმა ცნობამ, ერთი 1981 წელს რომ გაიცა, ხოლო მეორე — 1983 წელს. მას ხელს აწერს შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი და ადასტურებს, რომ რევაზ ქურციკიძე გასამხედროებულმა სახანძრო დაცვის სახინო განყოფილებამ 1963 წლის 22 ივნვარს აიყვანა ბინის მიღების აღრიცხვაზე.

წერს კი, კვლავ მოითხოვა რაისაბჭოს აღმასკომის სახინაო განყოფილებამ ანალოგიური ცნობა. თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილება და შესაბამისი რესპუბლიკური სამმართველო კვლავ ადასტურებს აღრიცხვიანობას.

და აი, კვლავ უარს ეუბნებიან, რადგან აღმასკომის 1963 წლის გადაწყვეტილება არ ამოძრნდა საბუთებში, თუმცა შემდგომი წლების ცნობები ადასტურებენ აღრიცხვიანობის სისწორეს. ეს დაღლილები, თუ ამ ცნობებით მაინც არ წყვეტენ საკითხს, რაღას გააწვალეს კაცი და ვინ იცის კიდევ მსგავსი რამდენი?!

საბუთების ფანჯრიდან გადაყრით დაემუქრა აღმასკომის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე რ. ქურციკიძეს: — რა, მე გაგიწვიე ჯარში, სამამული ომის მონაწილე ვარო, რომ გაიძახი, დადგები ჩვეულებრივ თანამშრომელთა საქციელს.

ყველაზე ძალიან კი ერთმა ამბავმა გაგვაოცა. რაიაღმასკომში ამ საკითხზე სამ ადამიანს ვესაუბრეთო, და სამივეს სხვადასხვა აზრი ჰქონდა.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე აკაკი გონგლაძე:

— ქურციკიძის საქმე დიდი ხანია გადაწყვეტილია, ყველაფერი რიგზეა, პირველ რიგში მიიღეს ბინას, რაღაცა ქაღალდს სთხოვენ და რა გაგდა, მიიტანოს.

საბინაო განყოფილების ინსპექტორი ვახტანგ კაკაურიძე:

— ვერ იქნა, ბატონო, ამ კაცს დღემდე ვერ მოვაბინანეთ აღმასკომის თავდაპირველი გადაწყვეტილება. წავიდეს არქივში და მოიტანოს. სახანძრო დაცვის სამმართველოდან მოაქვს ცნობა, ეს საკმარისი არ არის.

— მაშინ, თუ აღმასკომმა კი არა, მათ აიყვანეს თავდაპირველად აღრიცხვაზე, ხომ იცით, მას შემდეგ (ვიუბედეთ და შევახსენეთ) რამდენჯერ შეიცვალა აღრიცხვაზე აყვანის წესი. თუ ამ კაცს დღემდე არავინ უთხრა, რომ მისი აღრიცხვა არასწორია, ახლა რა ქნას?

— რა უნდა ქნას? ბინას ვერ მიიღებს და ის იქნება, — ისე მშვიდად და აუღელვებლად თქვა კაკაურიძემ, რომ მაშინვე წარმოვიდგინე ხანშიშესული კაცი, რომელსაც აი, ასე წლიდან წლამდე, თვიდან თვემდე, კვირიდან კვირამდე, ნელ-ნელა აღღნიავებენ და ბოლოს აღმასკომში სიარულით დაავადმყოფდა კიდეც.

ინსპექტორს ვკითხე, ვინმეს ხომ უნდა ეთქვა ამდენი წლის მანძილზე კაცისათვის, რომ მისი საბუთები სრული არ იყო, აღმასკომი ხომ ყოველთვის დადებით გადაწყვეტილებას იღებდა?!

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე რა ვქნა? ის ორგანიზაციაა დამნაშავე, რომელშიც ეს კაცი მუშაობს, მისმა ხელმძღვანელმა უნდა აგოს პასუხი. ჩემი აზრით იგი არ იმსახურებს ბინის მიღებას ამ საბუთებით. ხომ იცით, ვინმე იჩივლებს, რატომ მიეცითო ბინა და ისევ ჩვენ მოგვეგზავნება...

როცა აღმოფთები ვერ დავმალე, დამამშვიდა: ფონდი ჯერ არ მოგვსვლია, როგორც კი მოგვივა, მაშინ შეეკითხებით ქალაქის აღმასკომს, თუ ისინი გვეტყვიან, მიეცით, იმსახურებსო, მივცემთ თუ არა და, არა!

მოდით, მკითხველო, ერთად გავსაჯოთ 23 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა რაიმეს დადგენა, ახლა მაინც, როცა უკვე დაგვა დრო ქურციკიძის ბინით დაკმაყოფილებისა, რატომ უცდიან ფონდის მოსვლას? განა არა სჯობს ისედაც გაჭიანურებული საქმით ნერვებდაწყვეტილი კაცი დაამშვიდონ და დროზე შეეკითხონ ქალაქის აღმასკომს? თუმცა ჩვენი აზრით, საკითხავი არაფერია. ყველა ერთად ეფიქრებოდა, ვინ გამაჩერებდა ამ სამსახურში, ასეთი რომ არ ვიყო? — მან თითქოს თავიც კი მოიწონა ამით.

ხომ გახსოვთ, პირველად გადაწყვეტილ გაგვიცხადა, აქ გასარკვევი ოა არის, ეკუთვნის და მიეცემოო, ახლა კი საუბარი ასე დაასრულა: ქალაქს ვკითხავ (მხედველობაში აქვს ქალაქაო საბჭოს აღმასკომი), და თუ ისინი გვეტყვიან მიეცითო, მივცემთ. აი, ასე განსხვავებული და საფუძველმოკლებული პასუხებია და ასე, წლების მანძილზე გადაწყვეტელი საკითხების კორიანტელი.

ბიუროკრატიზმი მრავალსახოვანია, ის ყოველთვის არ გამოიყურება ჩინოვნიკურად და ყოყოჩურად. მას შეიძლება კეთილმოსურნის ნიღაბიც ჰქონდეს.

— მე მაგისათვის ვზრუნავ და ღამემდე ვერ გამიგია რა უნდა? — აკი გვითხრა საბინაო განყოფილების უფროსმა და დასძინა:

— რა, განა უფლება არა მაქვს, ვიფიქრა, ვინ გამაჩერებდა ამ სამსახურში, ასეთი რომ არ ვიყო? — მან თითქოს თავიც კი მოიწონა ამით.

ხომ გახსოვთ, პირველად გადაწყვეტილ გაგვიცხადა, აქ გასარკვევი ოა არის, ეკუთვნის და მიეცემოო, ახლა კი საუბარი ასე დაასრულა: ქალაქს ვკითხავ (მხედველობაში აქვს ქალაქაო საბჭოს აღმასკომი), და თუ ისინი გვეტყვიან მიეცითო, მივცემთ. აი, ასე განსხვავებული და საფუძველმოკლებული პასუხებია და ასე, წლების მანძილზე გადაუწყვეტელი საკითხების კორიანტელი.

ბიუროკრატიზმი მრავალსახოვანია, ის ყოველთვის არ გამოიყურება ჩინოვნიკურად და ყოყოჩურად. მას შეიძლება კეთილმოსურნის ნიღაბიც ჰქონდეს.

— მე მაგისათვის ვზრუნავ და ღამემდე ვერ გამიგია რა უნდა? — აკი გვითხრა საბინაო განყოფილების უფროსმა და დასძინა:

— რა, განა უფლება არა მაქვს, ეკუთვნის თუ არა

ინტერვიუ
ფაქტები • მოვლენები

გმოზენ აპარტეიდს

ნიუ-იორკი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ამერიკის შეერთებული შტატების „კონსტრუქციული თანამშრომლობის“ პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ნიუ-იორკში. მისმა მონაწილეებმა განაცხადეს, მოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ ბანკებსა და კორპორაციებს, რომლებიც უარს ამბობენ გაწყვიტონ ურთიერთობა პრეტორიასთანო. ამის შემდეგ გამართულ მიტინგზე ორატორებმა ხაზი გაუსვეს, რომ სწორედ ვაშინგტონის ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფს აპარტეიდის რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობას, საშუალებას აძლევს რასისტებს განამტკიცონ რეპრესიული აპარატი.

ბოსტონში დაიწყო პეტიციაზე ხელმოწერათა შეგროვების კამპანია. პეტიცია მოითხოვს, რომ კონგრესმა მკაცრი ეკონომიკური სანქციები შემოიღოს პრეტორიის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ. პირველი კვირის განმავლობაში მას ხელი მოაწერა დაახლოებით 30 ათასმა კაცმა.

აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელმაც პრაქტიკულად ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში შექმნა მოქმედების კომიტეტები. ისინი ცდილობენ მიაღწიონ, რომ უნივერსიტეტებისა და კოლეჯების ადმინისტრაციებმა ამოიღონ იმ კორპორაციების აქციებში დაბანდებული მთელი ფინანსური სახსრები, რომლებიც მხარს უჭერენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან აქტიურ ურთიერთობას. 20-ზე მეტი „უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უკვე შეწყვიტა ყველა ფინანსური ოპერაცია კორპორაციებთან, რომლებიც სამეგობრო აფარებენ რასისტებთან.

● ინდოეთი

გააკრიტიკეს ვაშინგტონის ადმინისტრაცია

დელი. ინდოეთის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა მოუმზრობლობის მოძრაობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო სემინარმა.

მისმა მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რა დიდმნიშვნელოვანია უნდა ასრულებდეს მოძრაობა მთელი ძალების დასაარსებავად საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების, განიარაღებისა, იმპერიალიზმის ხრიკებისაგან ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოთა თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლაში.

დელში შეკრებილმა 40 ქვეყნის დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის მოქმედება, რომელიც აჩქარებს სახიფათო საომარ სამზადისს და საფრთხეს უქადის თვით კაცობრობის არსებობას. დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ინიციატივებს, რომელთა მიზანია უსაფრთხოების განმტკიცება და თანამშრომლობის განვითარება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

● ნიკარაგუა

პრეზიდენტი დაბრუნდა

მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტი დანიელ ორტეგა შეერთებულ შტატებში მოგზაურობიდან დაბრუნდა. ამერიკაში ყოფნისას ნიკარაგუის ხელმძღვანელი გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე, რომელიც ნიკარაგუის თხოვნით მოიწვიეს იმის გამო, რომ რეიგანის აღმინისტრაციამ უარი თქვა შეასრულონ ჰაგის საერთაშორისო სასამართლოს დადგენილება, რომელმაც მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის აგრესია ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ.

ქალაქ ჩიკაგოში დანიელ ორტეგამ გამოაქვეყნა ნიკარაგუის ახალი წინადადებანი, რომელთა მიზანია მოგვარდეს შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა და მშვიდობიანად მოწესრიგდეს კრიზისი ცენტრალურ ამერიკაში.

„პარტიზანი“ გამოსცა

სკკპ XXVII ყრილობის მასალები ბულგარულ ენაზე

სოფია. გამომცემლობა „პარტიზანმა“ ბულგარულ ენაზე გამოუშვა სკკპ XXVII ყრილობის მასალების კრებული. კრებულში დაბეჭდილია პოლიტიკური მოხსენება, რომელიც ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა და წესდება, აგრეთვე სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი. წიგნში გამოქვეყნებულია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ტ. ჟივკოვის მისასალმებელი გამოსვლა ყრილობაზე.

● აშშ

საშიში ილუზია

ნიუ-იორკი. „ვარსკვლავთიან ომების“ პროგრამა იმით არის საშიში, რომ იგი ძირს უთხრის შეიარაღებისადმი კონტროლის მთელ პროცესს, ნათქვამია საავტომობილო მრეწველობის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის განცხადებაში, რომელიც აქ გავრცელეს, რეიგანის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა საშიში ილუზიაა, რომელსაც შედეგად მოაყვება გამალებული შეიარაღების ახალი, კონტროლს დაუქვემდებარებელი რაუნდი და ომის საფრთხის გაძლიერება, რაც საბჭოთა კავშირს აიძულებს მიიღოს შესაბამისი საპასუხო ღონისძიებანი, ამიტომ კოსმოსში იარაღის განლაგება მკვეთრად გაზრდის თერმობირთვული კატასტროფის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი დიდ იმედებს ამყარებს კოსმოსურ ფარზე, თვით პენტაგონიც კი იძულებულია აღიაროს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის იდეალური სისტემის შექმნა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ მრავალმილიარდიანი პროგრამა, რომელიც ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს ეროვნულ უშიშროებას, უნდა გაუქმდეს. ხოლო ამ გზით დაზოგილი სახსრები მოხმარდეს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. უწინარეს ყოვლისა უმუშევრობასთან ბრძოლას, აღნიშნულია განცხადებაში.

მოკლედ

◆ **ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა ახალი ჯილდო — ორდენი „მამაცობისათვის“. იგი ენიჭებათ სამშობლოს დაცვისა და სახელმწიფო უშიშროების განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურებისათვის.**

◆ **კაირო. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მოსახლეობამ 1986 წლის 1 ივლისისათვის 50 მილიონს მიაღწია და ბოლო რვა თვეში 1 მილიონით გაიზარდა. აქედან 25 მილიონ 324 ათასი მამაკაცი და 24 მილიონ 676 ათასი — ქალი.**

◆ **ტოკიო. რვა კაცი დაიღუპა იაპონიის ქალაქ კობეს ინვალიდთა სახლში მომხდარი ძლიერი ხანძრის შედეგად. როგორც იუწყებიან, ყველა დაღუპული 27-დან 41 წლამდე მამაკაცია. ოფიციალური წარმომადგენლები იძიებენ ხანძრის მიზეზებს.**

ფოტოფაქტი

„მისაკისფერი“ საფრთხის წინააღმდეგ

კელნი გაიმართა საპროტესტო მანიფესტაცია ერთ-ერთი ყველაზე აღვირახსნილი ნეოფაშისტური დაჯგუფების — „სკინხედსის“ („თავგაპარსულნი“) თავყრილობის წინააღმდეგ. მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ნაცისმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების — ანტიფაშისტთა კავშირის წარმომადგენლები, კომუნისტები, ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატები. „აიკრძალოს ნაცისტური თავყრილობები კელნში!“, „ძირს ფაშიზმი და ომი!“ — ასეთი ლოზუნგებით ჩაიარეს ქალაქის ქუჩებში დემონსტრანტებმა. თავგაპარსული ნაცისტური არამზადების შეხვედრა არ გამართულა: როგორც ჩანს, უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით მათ თავშეყრის დრო და ადგილი შეცვალეს.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი. (გზრ).

საკლესინის ფოტო.

მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტი დანიელ ორტეგა შეერთებულ შტატებში მოგზაურობიდან დაბრუნდა. ამერიკაში ყოფნისას ნიკარაგუის ხელმძღვანელი გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე, რომელიც ნიკარაგუის თხოვნით მოიწვიეს იმის გამო, რომ რეიგანის აღმინისტრაციამ უარი თქვა შეასრულონ ჰაგის საერთაშორისო სასამართლოს დადგენილება, რომელმაც მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის აგრესია ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ.

ქალაქ ჩიკაგოში დანიელ ორტეგამ გამოაქვეყნა ნიკარაგუის ახალი წინადადებანი, რომელთა მიზანია მოგვარდეს შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა და მშვიდობიანად მოწესრიგდეს კრიზისი ცენტრალურ ამერიკაში.

ამ სადაგ დღეთა ბაკვეთილები

გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე სამი ზოგადსაგანმათლებლო საშუალო და ერთიც რვაწლიანი სკოლაა. ყოველ სკოლას საიმედო სასწავლო ბაზა აქვს და მაინც, ის ერთი, რომელზეც ახლა გიამბობთ, განსაკუთრებით გამოირჩევა; ეს არის სოფელში შექმნილი მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო მეურნეობა.

მოზარდი თაობის აღზრდის, მისთვის შრომითი ჩვევების გამომუშავებისა და ფიზიკური წრთობისათვის, პროფესიული მომზადების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანისათვის ბევრს ზრუნავენ გორის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები. ძევერის საბჭოთა მეურნეობა კი ის საბაზისო მეურნეობა გახდა, სადაც მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის გზაზე ბევრი სიახლე დაინერგა.

ამ რამდენიმე წლის წინათ საბავშვო ბაღის აღზრდილები საბჭოთა მეურნეობის მიერ შეძენილი მოსწავლის ფორმებითა და წიგნებით პირველად მივიდნენ სკოლაში. მეურნეობის ხელმძღვანელები წინ იხედებოდნენ — თავიანთი მუშების შვილებზე ზრუნვა თავად მეურნეობის სამომავლო საქმეებზე ზრუნვასაც გულისხმობდა.

ერთ შემოდგომაზე, როცა უხვი მოსავალი მოვიდა, საშუალო სკოლის მოსწავლეებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხილის მოკრეფა-დაბინავებაში.

ძევერელ მოსწავლეთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ რაიონის ზოგადსაგანმათლებლო სკოლების მოსწავლეები.

არც მეურნეობა დარჩენილა ვალში: გამარჯვებული ბრიგადების მატერიალური და მორალური წახალისება, პიონერთა ბანაკებში დასასვენებლად გაგზავნა, ექსკურსიები ჩვეულებრივ ამბად იქცა.

— ამის შემდეგ აღარ გაგიკვირვებია, — ამბობს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. სუხიშვილი, — როცა საშუალო განათლების სიმწიფის ატესტატით ბევრი ახალგაზრდა მოვიდა მეურნეობაში სამუშაოდ. ზოგიერთი მეცხოველეობის ფერმაში მწველად ან მწყემსად გაგზავნეთ, ნაწილი მეხილეთა საწარმოო ბრიგადებში გავამწესეთ.

სწორედ მაშინ, როცა სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში მუშახელის ნაკლებობის გამო აჟაიერ ჩივილი დაიწყეს, ძევერელებს ეს პრობლემა კარგა ხნის გადაჭრილი ჰქონდათ.

ბოლო წლებში მკვეთრად გაახალგაზრდავდა მეურნეობის მუშაკთა ასაკობრივი შემადგენლობა, 30 წლამდე ასაკის მუშების რაოდენობა 15-დან 19 პროცენტამდე გაიზარდა, მაგრამ მეურნეობა არც ამაზე შეჩერდა — მოწინავე მუშები უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა, სტიპენდიებიც დაუნიშნა და დღეს ხვალ აგრონომების, ინჟინრებისა და ეკონომისტების ახალ შევსებას ელის. სოფელში მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო მეურნეობის შექმნით კიდევ ერთი ახალი ფურცელი გადაბრუნდა მოსწავლეთა პროფორიენტაციის საქმეში.

— და მართლაც, — ამბობს მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი დ. მეგრელიშვილი, — მოსწავლეებმა არაერთხელ გამოიჩინეს თავი ხილის კრეფაში, ამასთან, როგორც ყველა სოფლის ბავშვი, ჩინებულად ერკვევიან ხეხილის მოვლა-პატრონობაში.

პარტიულ კომიტეტში დაიბადა აზრი — გადაეცათ მოსწავლეებისათვის ხილის ბაღების დიდი ფართობები, აეშენებინათ სასწავლო-საწარმოო სწავლების კორპუსი, საკლასო ოთახები და სახელოსნოები.

მიზანი ნათელი იყო: ყმაწვილებმა უნდა იცოდნენ არა მარტო ხილის კრეფა, არამედ ბაღების დამუშავების აგროწესებიც, ტრაქტორის მართვაც და ა. შ.

სასწავლო-საწარმოო, ანუ როგორც ძევერელები უწოდებენ, „მინი-მეურნეობას“ გადაეცა 50 ჰექტარი ხილის ბაღი, 4 ჰექტარი სახნავი ფართობი, სკოლის საკუთრება გახდა 50 ძირი ფუტკრის სკაც.

აშენდა სასწავლო კორპუსი, რომელშიც არის ლითონისა და ხის დამუშავების, მექანიზაციისა და აგრონომიული სწავლების, კულინარიის კაბინეტები, გარდერობი და საშუაო იარაღის შესანახი ოთახი, საშხაპე, სახარატო სახელოსნო და სხვა.

მალე მოიხრეშა ეზო, დაიწყო სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის შენებლობა, ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ახლა უკვე აღარ დავობენ იმაზე, რომ „მინი-მეურნეობა“ მოსწავლეთა პროფესიული მომზადების უფრო მასშტაბური და სრულყოფილი ფორმა გახდა, ამასთან არა ეპიზოდურ-სეზონური, არამედ — მუდმივი.

სასწავლო მეურნეობა — ეს არის 100-ზე მეტი უფროსკლასელი მოსწავლე, კლასების მიხედვით შექმნილი ბრიგადები, მოსწავლე-ბრიგადირები, აღმრიცხველები, მინი-მეურნეობის ბუღალტერია და სხვა სამსახურები, და, ბოლოს, მისი დირექტორი — ძევერის საშუალო სკოლის IX კლასის წარჩინებული მოსწავლე დ. კეჩხუაშვილი.

— ერთი წელია, რაც ჩვენი მეურნეობა არსებობს, — ამბობს იგი, — ვცდილობთ სანიმუშო ყოფაქცევით, კარგი სწავლითა და ბეჯითი შრომით განვამტკიცოთ მეურნეობის ეკონომიკა, მშობლიური სკოლის სახელი და ღირსება.

სასწავლო მეურნეობის კოლექტივი სკოლაში აკადემიური წარმატებითაც გამოირჩევა, ხოლო თუ როგორ შრომობენ, ამ ციფრებიდანაც კარგად ჩანს: შარშან მოსწავლეებმა 110 ტონა ხილი მოკრიფეს გეგმით გათვალისწინებული 90 ტონის ნაცვლად და 5700 მანეთი გამოიმუშავეს. ხელფასი მოსწავლეებს ენახებათ შემნახველ სალაროში გახსნილ წიგნაკებზე, რომელსაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სიმწიფის ატესტატთან ერთად მიიღებენ.

წელს პირველად შეუდგნენ ძევერელი მოსწავლეები ხეხილის ბაღებში ყველა აგროღონისძიების განხორციელებას, ისინი ყველაფერს თავიანთი ხელით აკეთებენ ხეხილის ძირების შემობარვით დაწყებული და ხილის კრეფით და მისი დაბინავებით დამთავრებული.

წინ დიდი და საინტერესო გზაა.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ერეკლეს ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ქართულმა მწერლობამ, მთელმა მრავალეროვნულმა საბჭოთა ლიტერატურამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მწერალი, ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე.

მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება და მდიდარი შემოქმედება კონსტანტინე ლორთქიფანიძემ დაუშურვებლად, გულმხურვალედ მიუძღვნა საბჭოთა ხალხსა და სამშობლოს. მწერლის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებასთან. მისი მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა ჩვენი ხალხის აღმასვლის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის და პირველი გამარჯვებების მართალი და მღელვარე მატიანეა.

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში 1905 წლის 7 იანვარს. ტექნიკური სასწავლებლის დამთავრებისთანავე ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში, 1928 წელს მეგობარ ახალგაზრდა მწერლებთან ერთად დააარსა პროლეტარულ მწერალთა ჟურნალი „ცისკარი“, 1929 წელს გაიმართა, მონაწილეობდა საბჭოთა მწერლების ყველა ყრილობის მუშაობაში, დღიდან დაარსებისა იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და მისი პრეზიდიუმის წევრი, ხოლო 1967 წლიდან — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად, ხელმძღვანელობდა გამომცემლობა „ნაკადულს“, იყო მთავარი რედაქტორი ჟურნალებისა „ლიტერატურული გაზეთი“, „ცისკარი“, ალმანახ „საუნჯისა“. უკანასკნელ ხანს მუშაობდა თავის მშობლიურ ქუთაისში „განთიადის“ მთავარ რედაქტორად.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ პირველივე წიგნებით მიიქცია საყოველთაო ყურადღება. მის ადრინდელ ნაწარმოებებში აშკარად ჩანდა ის ჯანსაღი პოზიცია, რომელიც მწერალს ბოლომდე გაჰყვა. ეს არის ახალი საბჭოთა ცხოვრების ერთგულება და უანგარო სამსახური. ამან მიიყვანა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მწერალი ისეთი დიდი მასშტაბის გამარჯვებამდე, როგორიც იყო რომანი „ძირს ხმინდის რესპუბლიკა“, რომელსაც გადამუშავების და განვრცობის შემდეგ ავტორმა „კოლხეთის ცისკარი“ უწოდა.

„კოლხეთის ცისკარი“ მრავალ ენაზე ითარგმნა და გამოიცა. დიდი ცხოვრებისეული სიმართლ ი ს, მასშტაბურობის, მხატვრული წარმოსახვის სიძლიერის გამო „კოლხეთის ცისკარი“ სამართლიანად იქნა მიჩნეული კლასიკურ საბჭოთა რომანად.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მუდამ ერთ-ერთი პირველი ეხმაურებოდ ა კომუნისტურ ი პარტიისა და საბჭოთა მწერლობის მოწოდებებს. ასე იყო მაშინაც, როცა ოცდაათიან წლებში მაქსიმ გორკის ხელმძღვანელობით მოძმე ხალხებს შორის ლიტერატურულ კონტაქტებს ფართო ორგანიზებული ხასიათი მიენიჭა. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებით იყო ბელორუსიის რესპუბლიკაში, რის შედეგადაც დაიწერა მისი შესანიშნავი ნაწარმოებების ციკლი „უკვდავება, ანუ ბელორუსული მოთხრობები“.

დიდი სამამულო ომის პირველივე დღეებიდან კონსტანტინე ლორთქიფანიძე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტია მოქმედ არმიაში. მისი ფრონტული ნარკვევები სისტემატურად ეხებოდნენ ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. სამამულო ომის თემაზე დაწერილ მოთხრობებში დოკუმენტური სიმართლით და მხატვრული შთამბეჭდაობით, მომხიბვლელი უბრალოებით და სისადავით არიან წარმოსახული საბჭოთა ჯარისკაცები, გმირულად რომ ზიდეს სამამულო ომის უმძიმესი და უწმინდესი ტვირთი.

70-80-ათი წლები განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის. ეშმარტად ბაბუკური, მწერლური შემართებით ამოუდგა იგი მხარში ჩვენს პარტიას და ხალხს, როცა გამოცხადდა მწვავე, უკომპრომისო ბრძოლა რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. აღმავლობისა და განახლების ახალი, მემკვიდრეობითი ტალღა, რომელსაც დღეს რესპუბლიკა მოუცავს, მან საკუთარ სამოქმედო პროგრამად მიიღო და ამ სულისკვეთებით არაერთი პუბლიცისტური, დოკუმენტურ-მხატვრული ნაწარმოები შექმნა. მისი წიგნები („რა მოხდა აბაშაში“, „მთას დაუბრუნდა მთიელი“, „ოქროს მტევანი“ და სხვა) ეხმარებიან მკითხველს ღრმად ჩასწვდეს დღევანდელ პროცესებს, უფრო არსებითად გაერკვეს უკვე მოახლოებულ და სამომავლო ძვრებში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ სულ ახლახან დაასრულა თავისი ხანგრძლივი მუშაობა რომან „ნატვრისთვალზე“, რომლის ცალკე წიგნად გამოცემასაც ველარ მოესწრო. ქართული სოფლის ცხოვრებაზე შექმნილი ამ მრავალმასიანან ეპიკურ ნაწარმოებს მკითხველი უახლოეს ხანში მიიღებს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებას კარგად იცნობს და აფასებს მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი, მისი საუკეთესო მოთხრობები და რომანები თარგმნილია საზღვარგარეთის ხალხთა ენებზეც.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს კონსტანტინე ლორთქიფანიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და დიდი წვლილი საბჭოთა მწერლობის განვითარებაში. იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ ოთხი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მინიჭებული ჰქონდა ა. ფადეევის სახელობის პრემია, დაჯილდოვებული იყო ორი ლენინის, სამი შრომის წითელი დროშის, ორი წითელი ვარსკვლავის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

თვალსაჩინო საბჭოთა მწერლის, ქართველი ხალხის ღირსეული შვილის, მგზნებარე პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის კონსტანტინე ლორთქიფანიძის სახელი და შემოქმედება დიდხანს იცოცხლებს ხალხის ხსოვნაში.

ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოტეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, გ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, შ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ნ. ა. ფოფხაძე, ნ. შ. ჯანგირიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ზ. შ. მესხიშვილი, ს. ტ. რიგვავა, გ. გ. აბაშიძე, ი. გ. აბაშიძე, რ. გ. ამაშუკელი, გ. ვ. გედენეიშვილი, ხ. მ. ბერულავა, ლ. რ. თაბუკაშვილი, რ. კ. ინანიშვილი, ა. შ. იოსელიანი, დ. ვ. კვიტარიძე, ი. ს. კოზაევი, ა. რ. სანეგელიძე, ჯ. ა. ჩარკვიანი, ნ. გ. ჩერქეზიშვილი, გ. შ. ციციშვილი, თ. ი. ჭილაძე, შ. ი. ხალვაში, ა. ნ. ჯონუა.

ღრმა კვალი

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს უკანასკნელად რამდენიმე თვის წინათ შევხვდი, ხანდაზმულობის მიუხედავად, მხნედ გამოიყურებოდა, მისთვის ჩვეული იუმორით მსჯელობდა ლიტერატურის საკითხებზე და თავისი ნაწერების რუსული გამოცემის მოძღვნასაც შეპირდა. რა ვიცოდი, რომ შედარებით მოკლე ხანში ამ სტრიქონების დაწერა მომიხდებოდა.

ყოველი ჭეშმარიტი მწერალი განსაკუთრებული მოვლენაა ლიტერატურაში. ასეთი მოვლენა იყო კონსტანტინე ლორთქიფანიძეც. იგი ჯერ კიდევ ქუთაისის პირველი ტექნიკუმიდან დამახსოვრდა. იქ, უფროს კლასელებში, ბევრი ახალგაზრდა უკვე დგამდა პირველ ნაბიჯებს სამწერლო ასპარეზზე, მათგან ლიტერატურული საღამოების მოწყობაში აქტიურობით, ხალასი ნიჭით კონსტანტინე ლორთქიფანიძე გამოირჩეოდა.

დიდ ლიტერატურაში კ. ლორთქიფანიძე ლექსებით შემოვიდა. ჩემი ასაკის ახალგაზრდობას მისი მაშინდელი პოეზია თავისი სულიერი განწყობილების გამომხატველად მიაჩნდა. შინაარსთან ერთად მოგვწონდა მისი ლექსის ფორმა და ჟღერადობა. დღემდე მეხსიერებაში შემომრჩა პოეტის საოცრად ხალისიანი, თავიდან ბოლომდე მზით გაჩახჩახებული ლექსი, რომელიც ასე იწყება:

მოვიდა ზაფხულის დღეები
ელვარე,
ალმური ედება მიწას და ცას,
ბიბინებს ყანები ზღვასავით
მელვარე
და დილა ასხურებს
მოვერცხლილ ცვარს...

უთუოდ საინტერესო და ნიჭიერი პოეტი მალე პროზაში პოულობს თავის მოწოდებას. „კოლხეთის ცისკრის“ ავტორი გვევლინება საბჭოთა საქართველოში ღრმა სოციალურ გარდაქმნათა პირველ მემატიანედ. შემდგომშიაც იგი ბოლომდე რჩება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული წინსვლის, მისი შვილების საბრძოლო და შრომითი გმირობის, მისი ომისშემდგომი აღმავლობის თემატიკის ერთგულად.

როგორც მწერალს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ერთი სახარბიელო თვისებაც გამოარჩევდა. იგი ყოველთვის ცდილობდა საზოგადოებრივ მოვლენებს ცხელ კვალზე მიჰყოლოდა. მახსოვს, 1942 წლის დამდეგს, როცა კავკასიისათვის დიდი ბრძოლები იწყებოდა, კონსტანტინემ ფრონტზე წასვლის სურვილი გამოთქვა. დავთანხმდით და ისიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მანდატით კავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს განკარგულებაში გაემგზავრა. მწერლის ფრონტზე ყოფნას შემდეგ მშვენიერი სამხედრო მოთხრობებისა და ნოველების ციკლი მოჰყვა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის დაუცხრომელი სწრაფვა, დიდ მოვლენათა მოწმე და მონაწილე ყოფილიყო, განსაკუთრებით ამდიდრებდა მწერლის შემოქმედებას. მისი ნაწერები ყოველთვის ცხოვრებისეული სინამდვილის მხატვრული ანარეკლია და ამიტომაც ხიბლავს მკითხველს უშუალობითა და სიმართლით.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე. მან თავისი ღრმა, განუმეორებელი კვალი გაავლო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და ამით. სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა ქართველი ხალხის ისტორიაში.

კანდიდ ჩარკვიანი.

დასანანია, რაც ვერ მოასწრო!..

ახლა ალბათ ბევრი დაიწერება, რა შექმნა, რა გააკეთა, როგორი ადგილი დაიმკვიდრა ქართული სიტყვის ოსტატთა შორის. ამაზე მის სიცოცხლეშიც ბევრი დაწერილა. ეს არავის გაჰკვირვებია და არც ამის შემდეგ გაუკვირდებათ.

დასანანი და გულდასაწყვეტი ის არის, რაც ვერ მოასწრო, რაც არ დასცალდა და რაც ასე დააკლდა მის ქვეყანას, დასაწერი კი რამდენი ჰქონდა! მოჰყვებოდა ხოლმე რაიმე სიუჟეტს და დასძენდა, ამას როდისმე დავწერო. და გადადებდა. ალბათ იმ დროს ელოდებოდა, როდესაც ეს მასალა „გულში აღარ დაეტეოდა და ძილს დაუკარგავდა“. გრანდიოზული ჩანაფიქრები ჰქონდა, მაგრამ ისე გულდაგულ მუშაობდა, ისე აკვდებოდა ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას, თითქოს მეორე სიცოცხლე კიდევ წინ ედო.

სულ ათიოდე დღე იქნება, ტელეფონით მელაპარაკა ქუთაისიდან. რაღაც ბევრად უფრო ტკბილად ვისაუბრეთ, ვიდრე სხვა დროს. პაუსტოვსკის მოთხრობა წაკითხეო ლერმონტოვზე, მსგავსი დიდი ხანია არაფერი წამიკითხავსო, მითხრა; ქუთაისში ჩასვლაც მთხოვა — წიგნი დასაბეჭდად არის ხელმოსაწერი და „ნატვრისთვალის“ დასასრულიც მაგიდაზე მიდევს წასაკითხად გამზადებულიო (ბოლო ათი-თხუთმეტი წელია მრავალი მისი წიგნის რედაქტორი ვიყავი და როგორ იცოდა რედაქტორის მოსმენა, ან როგორი რედაქტორი იყო თვითონ, — ეს ცალკე თემაა); იმასაც შემპირდა, მწერალთა ყრილობის ამბებს მოგაყვებიო დაწერილებით. ახლა მწარედ ვნანობ, რატომ მაშინვე არ წავედი. როგორ ვფიქრობდი, რომ ეს ბოლო საუბარი იქნებოდა.

ხალხის სიყვარულით ნათელმოსილი

ვისაც კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის თვალი უდევნებია, იცის, რომ იგი გაზეთ „კომუნისტის“ ხშირი სტუმარი და მუდმივი ავტორი იყო. რედაქციისა და მის ამ ურთიერთობას განსაზღვრავდა მწერლის შემოქმედებითი მრწამსი და ცხოვრების წესი: მას თავის მოვალეობად მიაჩნდა მუდამ ცხოვრების შუაგულში ყოფილიყო. ჭირსა და ლხინში თავისი ხალხის გვერდით ყოფნა კონსტანტინე ლორთქიფანიძის უპირველესი თვისება იყო, როგორც მწერლის და მოქალაქისა.

იმ დროიდან მოკიდებული, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გარიჟრაჟზე, 1924 წელს, 19 წლის ჭაბუკმა ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები გამოაქვეყნა გაზეთ „კომუნისტში“, იგი „ერთგულ მებრძოლად და ქომაგად მოსდევდა ახალ ცხოვრებას“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მოხუცებულობამდე შეინარჩუნა ენთუზიაზმი და მგზნებარება ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მოვლენებთან დამოკიდებულებაში. ამ ენთუზიაზმს, ამ გზნებას თავის ხალხისადმი, ადამიანებისადმი მისი დიდი სიყვარული ასაზრდოებდა. ეს მის ყოველ ნაწარმოებში იგრძნობა: მხოლოდ დიდად მოსიყვარულე გულს და ჭეშმარიტ ხელოვანს შეუძლია ყოველ ადამიანში ღირსება და სილამაზე აღმოაჩინოს და სხვებსაც დაანახვოს.

ჩვენ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის დღევანდელი თაობის წარმომადგენლები, მოწმენი ვიყავით, თუ როგორ იწერებოდა მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნაწარმოები „ქართული სოფლის ქრონიკები“ („რა მოხდა აბაშაში“ და „მთას დაუბრუნდა მთიელი“). მწერალს ცხელი ხელნაწერი ნაწილ-ნაწილ მოჰქონდა რედაქციაში. მან იცოდა, ეს სადღეისო პრობლემა იყო და ამჯერად ჩასაჯდომად და ყოველი სიტყვის გ

როგორც საკუთარ შვილებს...

ერთობ სამახსოვრო და ამაღელვებელი შეხვედრა მოეწყო იმ დღეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ზონა რუხადის სახელობის კოჯრის პიონერთა ბანაკ „მზიურში“, სადაც ზაფხულის მცხუნვარე თვეებს ატარებენ უკრაინიდან — კიევიდან, კიევის ოლქიდან და ბელაია ცერკოვიდან ჩამოსული ყმაწვილები. მათ, სწორედ ისე, როგორც ყველაზე ახლობლებს, როგორც საკუთარ შვილებს, მოაკითხეს ჩვენმა ცნობილმა ადამიანებმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ლამარა ჭყონიამ, რუსთაველმა მეფოლადეებმა — მეგაღეობის ამხანაგობის გმგეობის თავმჯდომარემ დავით ლოლაძემ, სოციალისტური შრომის გმირმა არჩილ ძამაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ბენო ბალავაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგემ, პროფესორმა აკაკი ურუშაძემ, წარსულში თბილისის „დინამოს“ ცნობილმა ფეხბურთელმა გურამ პეტრიაშვილმა, გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, საქართველოს სსრ მეგაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მუშაკებმა, რესპუბლიკის მეგაღეობის ამხანაგობების მოწინავე წევრებმა. ბევრი მათგანი სხვადასხვა დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოძმე უკრაინაში.

საპატიო სტუმრებმა კოლექტიურ ბაღებში მოწეული მცირე რამ ძღვენი მიართვეს ყმაწვილებს — ბოსტნეულ-ბაღჩეული, სხვადასხვანაირი ჯიშის ხილი, ტკბილეული, სტუმართაგან ერთ-ერთი, სახაგრომრეწვის რესპუბლიკური მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორის მებაღეობის ამხანაგობის წევრი ჯემალ ცერცვაძე თავისი ოჯახის წევრებთან ერთად მოვიდა შეხვედრაზე და თან უხვად მოიტანა საკუთარი გარჯით მოწეული ხილი.

უკრაინელ პიონერებს გულითადად მიმართეს მებაღეობის ამხანაგობათა საკოორდინაციო საბჭოს გარდაბნის განყოფილების გამგემ ზურაბ კოკოლიაშვილმა, რომლის თაოსნობითაც მოეწყო ეს შეხვედრა, რუსთაველმა მეფოლადეებმა — მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ დავით ლოლაძემ, სოციალისტური შრომის გმირმა არჩილ ძამაშვილმა, უკრაინელმა იგორ ფედჩენკომ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ლამარა ჭყონიამ, აკადემიკოსმა ბენო ბალავაძემ, პროფესორმა აკაკი ურუშაძემ, ბანაკის უფროსმა იოსებ მიქაძემ და სხვებმა.

შემდეგ ბანაკის სტუმრებსა და უკრაინელ პიონერებს შორის დიდხანს გაგრძელდა უშუალო გულწრფელი საუბარი.

ზონაა რუხადის სახელობის პიონერთა ბანაკში მყოფი უკრაინელი მოსწავლეები უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების შვილები არიან. ბევრი მათგანის მშობელი უშუალოდ მონაწილეობს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მოხდარი ავარიის ლიკვიდაციაში. ყმაწვილები საქართველოში ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდნენ. ცხადია, მათ ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ სამინისტროს თანამშრომლები. აი, ამას წინათაც უკრაინელ ყმაწვილებს ესტუმრნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ვინაძტრი შოთა გორგოძე, ცნობილი ქართველი სპორტსმენები—სპორტის დამსახურებული ოსტატები შოთა ლომაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და სხვები. ყველას ძალზე ესიამოვნა, როცა დარწმუნდნენ, რომ ბანაკში ყოველ დღეს შინაარსიანად და ხალისიანად ატარებენ მისი ბინადარნი. აქ ხშირად ეწყობა კონცერტები, ვიქტორინები, სპორტული პაექრობანი; მოსწავლეები რეგულარულად უშვებენ კედლის გაზეთებს: „იუნი ლენინეცს“, „დრუებს“, „იუნი კორჩაგინეცს“. ბანაკში წლობით დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ბავშვებს დაბადების დღეებს ულოცავენ საზეიმო ხაზზე და სხვა.

... როცა საპატიო სტუმრები სათუთი, მშობლიური გრძნობით ემშვიდობებოდნენ უკრაინელ ნორჩებს, პიონერთა ბანაკის მედიცინის დამ ვალენტინა იაროვამ თქვა:

— მე ჩემს სიცოცხლეში ამაზე უფრო ამაღელვებელი შეხვედრა, სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს. არ ვიცი, როგორ ვთქვა, ეს იყო უაღრესად გულითადი, ჭეშმარიტად მშობლიური სიყვარულით აღსავსე დღე, როცა სრულად უცნო, მოძიებეთ ასეთი გამოთქმისათვის, ადამიანები ამდენ სიკეთეს აგრძნობინებდნენ ბავშვებს, ეფერებოდნენ, როგორც საკუთარ შვილებს, ესთუთებოდნენ. უღრმესი მადლობა ყველაფრისთვის.

... დიდხანს, დიდხანს ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს სტუმრები და ბანაკის ნორჩი დამსვენებლები და იმ წუთებში ერთი იყო ყველა უკრაინელი მოსწავლის მთავარი სათქმელი: ისინი არასდეს დაივიწყებენ თავიანთი დიდი საშობლოს ზრუნვას, მუდამ და ყოველთვის ემახსოვრებათ, რომ ჩვენი ქვეყნის ძლიერების ბალავარი საბჭოეთის ხალხთა ურღვევი მეგობრობაა.

ს. ძინძიბაძე.

სურათზე: უკრაინელ პიონერებს თავიანთ ბაღში მოწეული ხილით უმასპინძლდებიან სტუმრები.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ხევსურული თიხის გაცოცხლება

სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე „სოვეტსკაია კულტურას“ პავილონში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა ნამუშევრები.

გამოფენაზე დიდი მოწონება ხვდა წილად ახალგაზრდა მხატვარ-კერამიკოსის მანანა არაბულის სადიპლომო ნამუშევარს — ლუდისა და ხინკლის ჭურჭელს „ბატილს“, რომელიც ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა.

მანანა არაბულმა 1985 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია ცნობილი კერამიკოსის ალდე კაკაბაძის ხელმძღვანელობით. მან იმთავითვე მიიქცია ყურადღება ნიჭითა და შრომისმოყვარეობით, ახლის ძიების დაუცხრომელი სურვილით. სწორედ ძიების შედეგი იყო ის, რომ ამ ორიოდე წლის წინათ თავის მშობლიურ ხევსურეთში აღმოაჩინა შავი ფერის ფიქალიანი თიხა, რომელიც კლინკერის შემადგენლობისაა და დამუშავების დროს არავითარი სხვა ნივთიერების დამატებას არ საჭიროებს.

საერთოდ, კლინკერის მასა ხელოვნურად მიიღება სხვადასხვა თიხისა და ქიმიკალიების შერევით, ხევსურული თიხა კი ბუნებრივად ამავე თვისებებისაა, გამოიწვის მაღალ ტემპერატურაზე (1200 გრადუსზე), მისგან მიღებული მასალა გამძლეა და გამოიყენება როგორც ინტერიერში, ისე ექსტერიერში, ღია ცის ქვეშ.

ამ თიხის გამოყენების დიდი პერსპექტივები აქვს.

თვითონ მანანა არაბული? ახალგაზრდა მხატვარი ბევრს მუშაობს. ონაწილეობს რესპუბლიკურ გამოფენებში, ქმნის ახალ ნაშუშევრებს, რათა კვლავაც ჭეშმარიტ ხელოვნებას გვაჩიაროს. („კომუნისტის“ კორ.).

სურათზე: მ. არაბულის სადიპლომო ნამუშევარი — ხევსურული ხალუდე ქვაბი, რომელმაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ცხინვალის სიახლენი

საადღესასწაულო სახლი

მდინარე ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე, ეკლარის ქვით ნაგებ ორსართულიან შენობაში დიდი ბინა საადღესასწაულო სახლად გარდა სარიტუალო დარბაზისა, აქ არის ნეფე-პატარძლის მოსახურებისათვის განკუთვნილი ოთახები, ბარი და საცეკვაო დარბაზი, მეორე სართულზე კი საზეიმო დარბაზი და უახლესი დანადგარებით აღჭურვილი სამზარეულო. ახალ სახლში ყველა პირობაა შექმნილი საქორწინო ცერემონიალის საზეიმოდ მოწყობისათვის.

შენდება თეატრის შენობა

მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა ვეღარ იტევს მაყურებელს. უკვე დაწყებულია მუსიკალურ-დრამატული თეატრის მშენებლობა და როგორც მშენებლები გვპირდებიან, მალე ლამაზი არქიტექტურული ნაგებობა დაამშვენებს ქალაქის ცენტრს. ასე რომ, ოსური და ქართული დასების მსახიობებს, რომლებიც ამჟამად მცირე თეატრში ერთად ელოდებიან ყველა პირობებ ექნებათ საამისოდ, რომ ულრო ფართოდ გაშალონ შემოქმედებითი შუშაობა.

გადახურული ბაზარი

საპატიჟალოში ... ამშენებლო ტრესტი აშენებს და მალე მწყობრში ჩადგება ორსართულიანი გადახურული საკოლმეურნეო ბაზარი, რომლის პირველი სართული დაეთმობა ადმინისტრაციასა და კოოპერაციულ მაღაზიებს, მეორე სართულზე კი საკაჭრო დახლები გაანაგდება.

ახალი სადგური

ქალაქში გაიხსნა თანამედროვე ჩარხ-დანადგარებით აღჭურვილი ავტოტექმომსახურების სადგური, რომელიც მომარაგებულია სხვადასხვა მარკის ავტომობილთა სათადარიგო ნაწილებით. ახალ სადგურს კვალიფიციური პერსონალი ემსახურება.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სასპორტაკიადო მეერიდიანზე

კიევში გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთში. საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ფინალური ჯგუფის მეოთხე ტურში დაამარცხა ლენინგრადის გუნდი ანგარიშით 24:22, მეხუთე ტურში კი მოუგო შეხვედრა ლიტვის ძლიერ კოლექტივს — 23:18. ფინალურ ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა 5 მატჩიდან 3 შეხვედრა მოიგო და 2 წააგო. ჩვენს ხელბურთელებს კიდევ ორი მატჩი აქვთ გასამართავი. ამჯერად მათი მეტოქეები იქნებიან ბოლოდროინდელი და რუსეთის ფედერაციის ხელბურთელები.

ბალიში კი დამთავრდა ოფროსანებს ქალაქის ცენტრს. ასე რომ, ოსური და ქართული დასების მსახიობებს, რომლებიც ამჟამად მცირე თეატრში ერთად ელოდებიან ყველა პირობებ ექნებათ საამისოდ, რომ ულრო ფართოდ გაშალონ შემოქმედებითი შუშაობა.

ᲡᲐᲤᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდებს საკავშირო ჩემპიონატის 26-ე ტურის შემდეგ ლიდერთა ოთხეულში არიან რიგის „დაუგავა“ — 39 ქულა, ლენჩხუთის „გურია“ — 34, ცსკა და დუშანბეს „პამირი“ — 33-33 ქულა. რიგელებს 24 მატჩი აქვთ გამართული, დანარჩენებს კი 25-25.

დღეს გაიმართება ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების (1986-1987 წლების) ექვსი მერვედფინალური მატჩი. მოსკოვის „ტორპედო“ მიიღებს თბილისის „დინამოს“, ხარკოვის „მეტალისტი“ — მოსკოვის „სპარტაკს“, სიმფეროპოლის „ტავრია“ — გროდნოს „ნიმიკს“, ნიკოპოლის „კოლოსი“ — ზაპოროჟიეს „მეტალურგს“, მოსკოვის „დინამო“ — რიგის „დაუგავას“, ლვოვის ასკ „კარპატი“ — ვილნიუსის „ჟალგირისს“. ამავე დღეს მოეწყობა სტავროპოლის „დინამოსა“ და კიევის „დინამოს“ გადადებული მეთექვსმეტედფინალური მატჩი. ამ შეხვედრაში გამარჯვებული მერვედფინალში ეთამაშება კიროვაბადის „ქიმფაზს“. გუშინ კი მოეწყო ერთი მერვედფინალური მატჩი. ლენინგრადის „ზენიტმა“ მიიღო მინსკის „დინამო“.

ცურვა. სოფიაში დაწყებულ ბალკანიადაზე (ბალკანეთის ქვეყნების სპორტსმენთა შეჯიბრება) რუმინელმა თამარ კოსტკემ 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 25,31 წამი, მან თავისივე მიღწევა 0,04 წამით გააუჯობესა.

ფარიკაობა. სოფიაში დამყარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე სსრ კავშირის მოფარიკაველებმა საერთო-გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს და მათ მთავარი პრიზი — „ეროვნებათა თასი“ გადაეცათ. საბჭოთა სპორტსმენები უძლიერესნი იყვნენ რაპირისტ ქალთა და მოხმალაფეთა გუნდურ სასპარეზობებში, მეორე ადგილი დაიკავეს დაშნით მოფარიკაველთა გუნდურ შეჯიბრებაში, ხოლო ს. მინდორგასოვმა მოხმალაფეებში პირადი პირველობა მოიპოვა.

სპორტული ფესტივალი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ ამ სპორტული ფორუმზე თავი ისახელეს საბჭოთა მოკრივეებმა. მათ შვიდი ფინალური ორთაბრძოლა მოიგეს. შესანიშნავად იასპარეზა მძლეოსნურ შვიდეულში ჯეკი ჯონერმა (აშშ), რომელმაც სულ ახლახანს მოსკოვში კეთილი ნების ასპარეზობებზე მის მიერვე დამყარებული მსოფლიო რეკორდი (7148 ქულა) 13 ქულით გააუმჯობესა (7161).

ეს ერთი და, კიდევ სხვაც...



განვლილ კვირა დღეს კიდევ ერთი საქიდაო სარბიელი შეემატა თბილისს. აქ კაპიტალურად ნაგებ, გადახურულ და ლეიბებით გაწყობილ დარბაზზე არ არის ლაპარაკი. ეს სარბიელი ერთი ჩვეულებრივი, ნახერხმოყრილი წრე გახლავთ, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ქართული ჭიდაობის ტრადიციულმა არენამ რკინაბეტონის კორპუსებსა და ასფალტის ქუჩებს შორისაც მონახა ადგილი, უკვე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

თავდაპირველად ბევრს არ სჯეროდა, რომ ნახერხმოყრილი წრე დაინტერესებდა ქალაქელ მოზარდებს. მაგრამ იდეის ავტორმა, ქართული ჭიდაობის ენთუზიასტმა რობინზონ ნუსხელაძემ მაინც თავისი გაიტანა, მეზობლების დახმარებით თემქის დასახლების ერთ-ერთ ეზოში საჭიდაო სარბიელი მოაწყო. ახლა კი აქ ყოველ კვირა დღეს საინტერესო ორთაბრძოლები გაიმართება და ირგვლივ მაყურებელთა ტევა არ იქნება. ნუსხელაძე მუსიკოსებსა და კვალიფიციურ მსაჯებსაც მოიპატიჟებს ხოლმე და ბევრი ახალგაზრდა ვეღარ გაუძლებს ცდუნებას, რომ წრეში არ გავიდეს და მკლავის ძალა არ მოსინჯოს.

ახალი მოედანი ოფიციალურად კვირას, 3 აგვისტოს გაიხსნა. მას ვახტანგ ბალავაძის სახელობის საჭიდაო სარბიელი უწოდეს და, იმ დღეს მთავარი მსაჯის მოვალეობასაც თავად ასრულებდა. თემქის დასახლების მცხოვრებლებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ იქ ქართული ჭიდაობის კიდევ რამდენიმე კერას დაუდონ საფუძველი.

გ. დავლიანიძე.

სურათებზე: ახალი საჭიდაო სარბიელი თემქის დასახლებაში; ჭიდაობის ერთ-ერთი მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲨᲘ

ახალციხე. (საკ. კორ.). ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებს მთაში, საზაფხულო იალაღებზე ესტუმრა ქალაქ ვალეს მედსანნაწილის ექიმთა ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მთავარი ექიმი შ. მოსეშვილი, ქირურგი ვ. ზაქროშვილი, თერაპევტი მ. ხაბიშვილი, პედიატრი თ. კაკაბაძეშვილი, ნეგროპათოლოგი ა. მარტინოვი და სხვები.

მეცხოველეთა სამედიცინო გასინჯვის შემდეგ, ექიმთა ბრიგადამ საზაფხულო იალაღებზე მოაწყო პირველადი დახმარების კუთხე, სადაც არის პირველი დახმარების საშუალებები და სათანადო მედიკამენტები, დაიწესა აგრეთვე მედდების ყოველკვირეული მორიგეობა.

ექიმებმა გასინჯეს აგრეთვე მთაში, საზაფხულო იალაღებზე მოსული მოსახლეობა და ვისაც ავადმყოფობის სიმპტომები აღმოაჩნდათ, დისპანსერულ აღრიცხვაზე აიყვანეს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მეარსისტული-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მეცნიერების — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოთის ინფორმაციის — 99-60-21, მეზრდელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-26-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-86; რუსთავი — 14-27-87; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-96; თელავი — 3-12-99; წითელწყაროო — 23-66; ტყიბული — 25-82.

ᲗᲕᲘᲗᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ, ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ



ᲡᲐᲥᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ

ახლახან მკითხველმა მიიღო ვუკოლ ბერიძის საყურადღებო ნაშრომის „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ ფოტოტიპური გამოცემა (გამომცემლობა „მეცნიერება“).

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ჯერ კიდევ 1912 წელს აკადემიკოს ნიკო მარის რედაქტორობით და თაოსნობით ქართულ ენაზე გამოსცა შემდეგში ცნობილი მეცნიერის, პროფესორის ვუკოლ ბერიძის ეს დიდად მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს წიგნი საერთოდ პირველი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონია, რომლის შემდეგაც სისტემატურად ქვეყნდება ქართული ხალხური მეტყველების ლექსიკური საუნჯის ნიმუშები.

„სიტყვის კონაში“ თავმოყრილია სხვადასხვა ნაგებობათა, სამეწყობოქმედო და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა, მრავალფეროვანი ყოფითი რეალიების ამსახველი დიალექტიკური ტერმინები და ტექნიკური სიტყვები, რომელთა უმეტესობა უკვე იმ დროს მხოლოდ აქა-იქ თუ იყო შემორჩენილი და მანამდე არც გამოქვეყნებული. და თუმცა 1912 წლის შემდეგ ქართულმა ლექსიკოლოგიამ უმაგალითო წარმატებები მოიპოვა, ვუკოლ ბერიძის ზემოაღნიშნულ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა და მნიშვნელობა.

წიგნს ერთვის აკადემიკოს შ. ძიძიგურის ვრცელი წერილი, რომელშიც ასახულია ნაშრომის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა და ვუკოლ ბერიძის მრავალმხრივი მოღვაწეობა.

გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოაქვეყნა სერგი დურმიშიძის შეტად საინტერესო მოგონებათა წიგნი „ზოგი რამ წარსულიდან“.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, ჩვენში ახლა ნაკლები ყურადღება ეთმობა მემუარულ ლიტერატურას. მკითხველი კი, სწორედ რომ, დაეძებს ასეთ წიგნს. აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე მრავალმხრივი მოღვაწეა: გამოჩენილი ბიოქიმიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს დიდი მეგობრობა აკავშირებს არა მხოლოდ საკუთარი სპეციალობისა და მონათესავე დარგების გამოჩენილ მეცნიერებთან, არამედ ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთანაც. წიგნში აღწერილია ამ სახელგანთქმულ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით. იგი მკითხველთა ფართო წრისათვის არის განკუთვნილი.

დღევანდელ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში სამეცნიერო დარგები დაიყო, დაწვრილეთეულდა, ამას დაემატა უეცხოური დარგობრივი ტერმინოლოგიის მოძალება და საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ არა ამ დარგის სპეციალისტს, ფართო მკითხველ საზოგადოებას უჭირს დარგთან ახლოს მისვლა. ამიტომ ყოველი მეცნიერული დარგის პროპაგანდა მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს მოითხოვს. სერგი დურმიშიძის აღნიშნული ნაშრომი შეიძლება მივიჩნიოთ იმის ნიმუშად, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ასეთი პოპულარული წიგნი. ნაშრომში მრავალი მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო პრობლემა ქართული ტერმინოლოგიით ისე ზუსტად და გასაგებად არის გადმოცემული, რომ მას სიამოვნებით წაიკითხავს ახალგაზრდაც და ხანდაზმულიც. წიგნში ბევრი რამ არის ისეთი, რაც თაობათა აღზრდას ემსახურება. უდავოდ დიდი იდეურ-პედაგოგიური ღირებულება აქვს თანამედროვე ახალგაზრდობისათვის იმის ცოდნას, თუ როგორი ბავშვობა ჰქონდათ ჩვენს სახელოვან მეცნიერებს, მწერლებსა თუ ხელოვნების მოღვაწეებს, როგორი შემართებით, მიზნის ერთგულებითა და შრომისმოყვარეობით სძლევდნენ წინააღმდეგობებს და აღწევდნენ მიზანს.

წიგნში თითქმის მთელი მეოცე საუკუნის ქართული ინტელექტუალური ცხოვრებაა გამომზეურებული. აქ ვერ ნახავთ ვარაუდებს ან სხვების მიერ გადმოცემულ ამბავს. ავტორი მოგვითხრობს იმაზე, რისი თვითმხილველი, დამსწრე და მონაწილე თავად ბრძანდება.

მან იცის, რა არის მთავარი და რისი მოგონება სჭირდება მკითხველს. ამასთან ოსტატურად არჩევს სათქმელის ფორმას. სარეცენზიო წიგნს ვერ მივაკუთვნებთ ჩვეულებრივ მოგონებათა კატეგორიას, იგი მხატვრული დოკუმენტური მოთხრობების კრებულია.

1944 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრებად აირჩიეს კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. შემდგომ წლებში აკადემიკოსები გახდნენ ილია ბერაშვილი, ირაკლი აბაშიძე, დენა შენგელაია, გრიგოლ აბაშიძე. სერგი დურმიშიძის დაინტერესება ჩვენი სახელოვანი მწერლებით იმითაც არის გაპირობებული, რომ თვით ბატონი სერგი ბრძანდება ბელეტრისტის ნიჭით დაჯილდოებული, დაბეჭდილი გემოვნების ლიტერატორი, ის ყურადღებას ყოველთვის ამაღლებულ, მრავლისმთქმელ ფაქტებსა და მოვლენებზე ამახვილებს. აი, მაგალითად, წიგნში მოყვანილი ნაწყვეტი სტენოგრაფისტ ელენა ბალანაკის ... ...